ახალი გამარჯვებებისაკენ, მეგობრებო!

★ ★ ★

სოფელი ხარობს, სოფელი იბრძვის

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 298 (11909)

კვირა, 25 დეკემბერი, 1960 წ.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲔᲚᲕᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲒᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲕᲘᲓᲕᲐᲨᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

სოფელი ხარობს, სოფელი იბრძვის

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲔᲚᲕᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲒᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲕᲘᲓᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲐᲨᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲚᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

★ ★

ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐᲐ ᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ, 1961 ᲬᲚᲘᲡ, ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ, ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲣᲚᲘᲠᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲐᲜ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ.

„ᲙᲝᲛᲘᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲬᲔᲚᲘ ᲬᲘᲠᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲒᲝᲛᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲔᲠᲩᲘᲔ ᲜᲐᲖᲘ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲕᲡ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚ ᲐᲚᲢᲐᲪᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲬᲐᲓᲝᲧᲝᲤᲜᲐᲡ — ᲐᲠ ᲓᲐᲬᲝᲖᲝᲗ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲪᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ. „ᲓᲘᲓ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲪᲓᲔ, — ᲬᲔᲠᲡ ᲘᲒᲘ, — ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲔ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲗᲠᲘᲣᲜᲤᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲚᲘᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲔᲩᲐᲘᲔ ᲜᲐᲖᲘ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲦᲒᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲚᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

★ ★

ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲯᲐᲒᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Მ. ᲧᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, — ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲙᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲚᲔᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲜᲐᲮᲔᲒᲕᲐᲠᲯᲔᲠ ᲒᲐᲐᲦᲠᲫᲝᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ, ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲡᲐᲮᲐᲕᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ — ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲔ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲯᲐᲒᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲘᲠᲩᲘᲐ ᲜᲐᲖᲘ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ, ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲚᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲚᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲬᲝᲓᲔᲗ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ 1961 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ 1960 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲛᲐᲗ ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲘᲡᲚᲐᲛᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲗᲚᲘᲗᲔᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ.

ᲛᲘᲡᲚᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲕᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ 138 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲘᲡᲐ, ᲐᲜᲣ 16.5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ, ᲯᲔᲓᲠᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲡ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ, ᲙᲣᲠᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲘᲚᲘᲡ, ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡ, ᲠᲫᲘᲡ, ᲙᲕᲔᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲕᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲛᲚᲝᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ, 1961 ᲬᲚᲘᲡ, ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ Დ

1961 წლის ნიმუშის ფულის აღწერილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთები

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 100 და 50-მანეთიანი ბილეთები დაბეჭდილია ქაღალდზე, რომლის თეთრ ფონზე ჭვირნიშნით გამოსახულია ვ. ი. ლენინის პორტრეტი (ბარელიეფი), ხოლო 25 და 10-მანეთიანი ბილეთები დაბეჭდილია ჭვირნიშნიან ქაღალდზე, რომელზეც გამოსახულია ღია და მუქი ფერის ხუთკუთხიანი ვარსკვლავები, თანაბრად განლაგებული მთელ ბილეთზე.

100, 50, 25 და 10-მანეთიანი ბილეთების წინა მხარეს წარწერებია: „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთი“, „ბანკის ბილეთები უზრუნველყოფილია ოქროთი, ძვირფასი ლითონებითა და სახელმწიფო ბანკის სხვა აქტივებით“. უკანა მხარეს წარწერილია: ბილეთის ღირებულება მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე, „სახელმწიფო ბანკის ყალბი ბილეთების მოჭრა იდევნება კანონით“ და ორი ერთნაირი შვიდნიშნიანი ნომერი ბილეთისა სერიის ასოებრივი აღნიშვნით.

50, 25 და 10-მანეთიანი ბილეთების წინა მხარეს და 100-მანეთიანი ბილეთის უკანა მხარეს გამოსახულია ციფრი „1961“, რომელიც აღნიშნავს გამოშვების წელს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 100 მანეთიანი ბილეთი წენგოსფერია, ბილეთის შუაგულში ცისფერი ზოლია, რომელიც თანდათანობით ერწყმის ბილეთის საერთო წენგოსფერს.

ბილეთის წინა მხარეს გამოსახულია: მარცხენა მხარეს — ვ. ი. ლენინის პორტრეტი (ბარელიეფი), ცენტრალურ ნაწილში — სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი ორნამენტული გრაფიკული გაფორმებით, ციფრი „100“ და წარწერა „ასი მანეთი“, ქვემოთ მარჯვნივ ციფრი „100“ როზეტში, ბილეთის მარჯვენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში — ციფრი „100“ როზეტში.

უკანა მხარეს გამოსახულია: მოსკოვის კრემლის ხედი, ზემოთ მარცხნივ და მარჯვნივ — ორი ციფრი „100“ პატარ-პატარა როზეტებში, ასოები „სსრკ“, შუაგულში — ციფრი — „100“ დიდ როზეტში, წარწერა „ასი მანეთი“ და მის ქვემოთ ვარდისფერი ციფრი „100“, მარცხენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში — ციფრი „100“ მრავალი ფერის როზეტში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 50-მანეთიანი ბილეთი მწვანე ფერისაა. ბილეთის შუაგულში ვარდისფერი ზოლია, რომელიც თანდათანობით ერწყმის ბილეთის საერთო მწვანე ფერს.

ბილეთის წინა მხარეს გამოსახულია: მარცხენა მხარეს — ვ. ი. ლენინის პორტრეტი (ბარელიეფი), ცენტრალურ ნაწილში სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი ორნამენტული გრაფიკული გაფორმებით, ციფრი „50“, წარწერა „ორმოცდაათი მანეთი“ და ქვემოთ — ორი ციფრი „50“. ბილეთის მარჯვენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში — „50“ როზეტში.

უკანა მხარის გამოსახულია: მოსკოვის კრემლის მთავრობის შენობის ხედი ოვალურ ჩარჩოში ორნამენტული გრაფიკული გაფორმებით, ჩარჩოს ზემოთ — ასოები „სსრკ“ ქვემოთ ციფრი — „50“ ჩარჩოს ქვემოთ — წარწერა „ორმოცდაათი მანეთი“, ბილეთის მარცხენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში — ციფრი „50“ მრავალი ფერის როზეტში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 25-მანეთიანი ბილეთი იასამნისფერია. ბილეთის შუაგულში მწვანე ზოლია, რომელიც თანდათანობით ერწყმის ბილეთის საერთო იასამნისფერს.

ბილეთის წინა მხარეს გამოსახულია: მარცხენა მხარეს ვ. ი. ლენინის პორტრეტი (ბარელიეფი), სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი ორნამენტული გრაფიკული გაფორმებით, წარწერა „ოცდახუთი მანეთი“, ქვემოთ — ორნამენტი ციფრით „25“ როზეტში, ორნამენტის მარჯვენა და მარცხენა მხარეს — ციფრი „25“, ბილეთის მარჯვენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში — ციფრი „25“ როზეტში.

უკანა მხარეს გამოსახულია: ბილეთის შუაგულში — წარწერა „ოცდახუთი მანეთი“ ვარდისფერი ციფრის „25“-ის ფონზე, ორნამენტის ზემოთ მარცხენა ზედა კუთხეში — ციფრი „25“, მარჯვენა მხარეს — მრავალი ფერის როზეტი, მის ქვემოთ — ასოები „სსრკ“ როზეტში, ბილეთის მარცხენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში — ციფრი „25“.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 10-მანეთიანი ბილეთი ვარდისფერია. ბილეთის შუაგულში ყვითელი ზოლია, რომელიც თანდათანობით ერწყმის ბილეთის საერთო ვარდისფერს.

ბილეთის წინა მხარეს გამოსახულია: მარჯვნივ ვ. ი. ლენინის პორტრეტი (ბარელიეფი), მარცხენა ზედა კუთხეში — სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი, მარცხენა ქვედა კუთხეში როზეტში და მარჯვენა ზედა კუთხეში — ციფრები „10“, შუაგულში — წარწერა „ათი მანეთი“ ციფრის „10“-ის ფონზე, ბილეთის მარჯვენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში — ციფრი „10“ როზეტში.

უკანა მხარეს გამოსახულია: მარცხენა ზედა კუთხეში მწვანე ფონზე ოვალურ ჩარჩოსა და მარჯვენა ზედა კუთხეში როზეტში — ციფრები „10“, შუაგულში — ასოები „სსრკ“ ორნამენტის ფონზე და წარწერა „ათი მანეთი“ როზეტში ციფრის „10“-ის ფონზე, ბილეთის მარცხენა მხარეს თეთრი ფონის ქვედა ნაწილში — ციფრი „10“.

სსრ კავშირის სახელმწიფო სახაზინო ბილეთები

5, 3 და 1-მანეთიანი სახელმწიფო სახაზინო ბილეთები დაბეჭდილია ჭვირნიშნიან ქაღალდზე, რომელზეც გამოსახულია ღია და მუქი ფერის ხუთკუთხიანი ვარსკვლავები, თანაბრად განლაგებული მთელ ბილეთზე.

5, 3 და 1-მანეთიანი ბილეთების წინა მხარეს წარწერებია: „სსრ კავშირის სახელმწიფო სახაზინო ბილეთი“, „სახელმწიფო სახაზინო ბილეთები უზრუნველყოფილია სსრ კავშირის მთელი ოქროლითით და სავალდებულოა, რომ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და პირმა მიიღოს ყველა გადასახდელში ნომინალური ღირებულებით“ და ციფრი „1961“, რომელიც გამოშვების წელს აღნიშნავს. ბილეთების უკანა მხარეს წარწერებია: ბილეთის ღირებულება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე და „ყალბი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების მოჭრა იდევნება კანონით“.

3 და 1-მანეთიანი ბილეთების წინა მხარეს და 5-მანეთიანი ბილეთის უკანა მხარეს დაბეჭდილია ბილეთის ერთი შვიდნიშნიანი ნომერი სერიის ასოებრივი აღნიშვნით.

5-მანეთიანი სახელმწიფო სახაზინო ბილეთი ცისფერია. ბილეთის შუაგულში ნარინჯისფერი ზოლია, რომელიც თანდათანობით ერწყმის ბილეთის საერთო ცისფერს.

ბილეთის წინა მხარეს გამოსახულია: მოსკოვის კრემლის მაცხოვრის კოშკის ხედი, მარცხენა ზემო კუთხეში — სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი ორნამენტული გაფორმებით, მარცხენა ქვემო და მარჯვენა ზემო კუთხეებში — ციფრები „5“, შუაში წარწერაა „ხუთი მანეთი“ ციფრის „5“-ის ფონზე და ქვემოთ წარწერაა „ხუთი“ როზეტში, ბილეთის მარჯვენა მხარეს თეთრი ფონის ქვემო ნაწილში არის ციფრი „5“ როზეტში.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

დეპუტატ გ. ს. ძოწენიძის სიტყვა

ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ

ამხანაგო დეპუტატებო! ხშირად ამბობენ, რომ მომდინარე წელი მდიდარი იყო ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენით. ვფიქრობ, ეს განსაზღვრა მთლიანად როდი ასახავს 1960 წლის მნიშვნელობას მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის, მთელი ჩვენი პლანეტისათვის. ეს იყო ნამდვილად ისტორიული წელი, ძლევამოსილი წელი პროგრესული ძალებისათვის, მშვიდობისა და მეგობრობის ძალებისათვის, წელი, რომელმაც მოწინავე კაცობრიობას დაუმკვიდრა ბედნიერი მომავლის რწმენა და რომელიც არ დაუჩრდილავს ატომური ომის შავბნელ აჩრდილს. 1960 წელი იყო იმპერიალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების წელი, მთლიანად ძირმომპალი კოლონიალიზმის — კაპიტალისტური სამყაროს ამ კეთრის სულ უფრო მზარდი დაშლის წელი.

ახლა შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ გასული წლის ყოველი დღე და ყოველი თვე მუშაობდა მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის სასარგებლოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიამაყოთ იმ ფაქტით, რომ დიად ბრძოლას მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის სათავეში უდგას საბჭოთა ხალხი — ოქტომბრის შემოქმედი, მისი სახელოვანი ლენინური პარტია, რომელიც ჩვენი ეპოქის ღირსება და სინდისია. ხალხები ხედავენ და დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის, მისი მთავრობის დამსახურებას მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

ჩვენ აღგვაფრთოვანებს მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის ტიტანური მოღვაწეობა, რომლის მიზანია ატომური ომის თავიდან აცილება, გადაჭრილი ალაგმვა მძლეტარისტებისა, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი სისხლისმღვრელი ომი. ნიკიტა სერგის-ძის ისტორიული გამოსვლები, რომლებიც ეხება ყველაზე მღელვარე საერთაშორისო პრობლემებს, კაცობრიობის მშვიდობის, ბედნიერების და პროგრესის ინტერესებისადმი უანგარო სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია.

1960 წლის ღირსეული დაგვირგვინება იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი — კომუნისტთა ნამდვილი მსოფლიო ფორუმი. ამ თათბირზე მიღებული განცხადება და მსოფლიოს ყველა ხალხისადმი მიმართვა წარმოადგენენ შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო დოკუმენტებს, ყველა კომუნისტის საქმიანობის საბრძოლო პროგრამას. განცხადება შეიცავს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის, ჩვენი ეპოქის ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ანალიზს. ეპოქისა, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დიდმა ოქტომბერმა დაიწყო. ეს არის ორი მიწიწაღმდეგე საზოგადოებრივი ძალის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის ნგრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა.

განცხადებაში უდიდესი დამაჯერებლობით ნაჩვენებია კეთილშობილური მიზნები კომუნისტებისა, რომლებსაც თავიანთ ისტორიულ მისიად მარტო ის კი არ მიიჩნიათ, რომ გააუქმონ მსოფლიო მასშტაბით ექსპლოატაცია და სიღატაკე და სამუდამოდ გამორიცხონ ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან ყოველგვარი ომის შესაძლებლობა, არამედ ისიც, რომ უკვე თანამედროვე ეპოქაში იხსნან კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის კოშმარისაგან. ყველა ქვეყნის კომუნისტურმა პარტიებმა თავიანთ წარმომადგენელთა პირით დადეს წმიდა ფიცი, რომ ამ დიადი ისტორიული მისიის განხორციელებას მოახმარენ მთელ თავიანთ ძალებსა და ენერგიას.

თათბირის მონაწილეებმა ულმობლად ამხილეს აგრესიული გეგმები იმპერიალისტებისა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისა, რომლებიც გულში ატარებენ დამანგრეველი რაკეტულ-ატომური ომის კაცთმოძულეობითს იდეას. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ეიზენჰაუერის მთავრობა მხარს უჭერდა და გამოხატავდა ამ რეაქციული წრეების ინტერესებს. სწორედ აქედან წარმოდგება გამოუვალი კრიზისი მისი პოლიტიკისა, რომელიც ემყარება დრომოჭმულ დალესურ ბალანსირებას, ვერაგობას, ჯაშუშობას და სხვ. ოკეანესგაღმელი მჯღაბნელები ეიზენჰაუერს ხატავდნენ ცოდვილ მიწაზე ჩამოსულ წმინდანად. მაგრამ მისი სიტყვები ძალიან სცილდება მის საქმეებს. ეიზენჰაუერს თუ კი ჰქონდა კავშირი ზეცასთან, მხოლოდ ალენ დალესის უწყების მეშვეობით.

რა თქმა უნდა, შემოხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ნიქსონს, ანუ „ცბიერ დიკს“, როგორც მას თანამემამულენი უწოდებენ, თვითონ აჯობეს. ამ ამბავში მთავარი ის არის, რომ ამერიკელმა ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა „ცივ ომს“, დაგმო იგი, მოითხოვა მთავრობის პოლიტიკის მთლიანად შეცვლა.

ეიზენჰაუერის მთავრობის ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ მილიტარისტული ბანდების მზადებასთან ერთად მან წარსულში მოაწყო ეგრეთწოდებული დამონებულ ერთა კვირეული, გულისხმობდა რა უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის თავისუფალი და სუვერენული რესპუბლიკების ხალხებს. აი რა თავხედობამდე მივიდნენ იმპერიალისტები და კოლონიზატორები! მაგრამ ჭეშმარიტების დამალვა შეუძლებელია.

საბჭოთა კავშირში ცოტა უცხოელი როდი ჩამოდის, მათ შორის ამერიკელები, ოფიციალური ვიზიტებითაც და ტურისტებადაც. მათ შორის ბევრია პატიოსანი ადამიანი, რომლებსაც სურთ დაიჯახონ ან შეაფასონ ყველაფერი ობიექტურად. ყველა ისინი ერთსულოვნად აფასებენ ჩვენი ქვეყნის უდიდეს წარმატებებს. მაგალითად, 1958 წელს სსრ კავშირში ჩამოვიდა ამერიკის ათი უნივერსიტეტის პრეზიდენტთა დელეგაცია ჩვენში უმაღლესი განათლების დაყენების გასაცნობად. ისინი საქართველოშიც იყვნენ. მე მაშინ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი და გავაცანი მათ არა მარტო ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები, არამედ, მათი თხოვნით, კოლმეურნეობები და სამრეწველო საწარმოებიც. ისინი დარწმუნდნენ, რომ ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, მიღწეულია ცხოვრების, კულტურისა და მეცნიერების მაღალი დონე. ისინი გაოცდნენ, როცა შეიტყეს, რომ სხვა მომძე რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ყოველ ათას მოსახლეზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობით. ისინი გაოცდნენ იმითაც, რომ საქართველოს „დამონებულმა ხალხმა“ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ისე განავითარა თავისი ინდუსტრია, რომ მრეწველობის ბევრი სახეობისა და დარგის მხრივ გაუსწრო არა მარტო მეზობელ თურქეთსა და ირანს, არამედ აგრეთვე ბევრ დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, ისეთებს, როგორიც არის იტალია, საფრანგეთი, იაპონია. ღმერთმა მისცეს ყველას ასეთი „დამონება“, განსაკუთრებით იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიებს, რომელთა მოსახლეობა ეკონომიკის უკიდურესი ჩამორჩენისა და იმპერიალისტთა მიერ მტაცებლური ექსპლოატაციის გამო უბადრუკად ცხოვრობს.

თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ბოლო დროს სულ უფრო ძლიერ გაისმის საღი ხმები, რომლებიც აღიარებენ ჩვენს კოლოსალურ მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, აღიარებენ ჩვენს უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემაზე. აი რას წერს ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე ჩესტერ ბოულსი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა კენედიმ ამას წინათ სახელმწიფო მდივნის მოადგილედ დანიშნა. „გარკვეულ დრომდე,— ამბობს ბოულსი, — თითქმის არავინ არ იყო დაეჭვებული ამერიკის უპირატესობაში მრეწველობის, სამხედრო და მეცნიერების დარგებში. შემდეგ უცბათ გაჩნდა თანამგზავრი, რომელიც დედამიწას გარშემო უვლის, და მილიონობით ადამიანი იძულეთა კითხვას: ხომ არ არის კომუნიზმი ის მხარე, რომელიც ბოლოს და ბოლოს იმარჯვებს?“.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენსონი შემდეგს აცხადებს: „დამაჯერებელი გაანგარიშება ცხადყოფს, რომ ახლო მომავალში პროდუქციის გამოშვება საბჭოთა კავშირში გადაუსწრებს შეერთებული შტატების დონეს. თუ ეს მოხდა, შეიცვლება დედამიწის მთელი ისტორია“. ამგვარად არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ აჩენსონს წინასწარმეტყველების უნარი ჰქონია. დიახ, დედამიწის ისტორია იცვლება, თუმცა იცვლება სრულადაც არა ისე, როგორც სურთ იმპერიალისტებს, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უკუღმა დატრიალონ ისტორიის ჩარხი.

ამერიკელი იმპერიალისტები, მათი რეაქციული თავრობა ყოველნაირად ცდილობენ დაასამარონ განიარაღების იდეა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა. მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ისტორიული XV სესიის გადაწყვეტილებისა, ყოველნაირად აჭიანურებენ კაცობრიობის ისტორიის ამ ყველაზე საარსებო საკითხის კონკრეტულ გადაჭრას. მსოფლიოს ხალხები თვალნათლივ დარწმუნდნენ, თუ ვინ ესწრაფვის ნამდვილ განიარაღებას, თერმოატომგულის იარაღის აკრძალვას და ვინ ატყუებს ხალხებს, საზოგადოებრივ აზრს ლაპარაკით კონტროლსა და ინსპექციაზე, ვინ ცდილობს შენიღბოს თავისი კაცთმოძულე პოლიტიკა, განაგრძოს გამალებული შეიარაღება, რომელიც საშინელი უბედურებაა კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელთათვის.

ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, რომლებმაც, ტალეირანის მოხდენილი თქმით, „არაფერი არ დაივიწყეს და არაფერი არ ისწავლეს“, გერმანელმა მილიტარისტებმა არაფერი არ ისწავლეს, მაგრამ მგონი ზოგი რამ დაივიწყეს, დაივიწყეს, კერძოდ, თუ როგორ გადაუმტვრია ხერხემალი საბჭოთა ხალხმა გერმანელ სამხედრო ხროვას, როგორ გაანადგურა ფაშიზმი. სტალინგრადთან გალარჩენილი ნაძირალები, სისხლსმოწყურებული მანიკები აღორძინებენ დასავლეთ გერმანიაში ჰიტლერიზმს, კვლავ აფრიალებენ ფაშისტურ დროშებს, მოუწოდებენ ახალი ლაშქრობებისაკენ კომუნიზმის წინააღმდეგ. მაგრამ დღეს ისე იოლი როდია ხალხების გასოლელება ფიურერის არსენალის გიჟური იდეებით, როგორც ეს წინათ იყო. რევანშიზმი მწვავე სიძულვილს აღეძრავს თვით დასავლეთ გერმანიის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს, რომლებსაც კარგად ახსოვთ, თუ რა უბედურება მოუტანა ჰიტლერიზმმა გერმანიას, გერმანელ ხალხს.

როგორც ჩანს, ვერაფერი ვერ ისწავლეს და ბევრი რამ დაივიწყეს საფრანგეთის ახლანდელმა მმართველებმაც. ისინი გზავნიან თავიანთ ჯარს სამარცხვინო ომში ალჟირეულ პატრიოტთა წინააღმდეგ, დემონსტრანტთა დასახვრეტად და ამავე დროს საფრანგეთის ჭიშკარს უღებენ ბუნდესვერის ჯარისკაცებს, რომლებსაც არაერთხელ გაუთელავთ საფრანგეთის მიწა-წყალი როგორც დამპყრობლებს.

ამერიკის მილიტარისტული წრეები ყოველნაირად ცდილობენ ააღორძინონ გერმანიის სამხედრო ხროვა. დეკემბრის დამლევს პარიზში გაიმართა ნატოს საბჭოს მორიგი სესია. ამ სესიაზე ამერიკის წარმომადგენლებმა მერამდენჯერ წამოაყენეს ატომური და რაკეტული იარაღით ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების ტოტალური ატომური შეიარაღების გეგმა, რომელიც გზას უხსნის ბონის რევანშისტული სახელმწიფოს გადაქცევას მთავარ ატომურ სახელმწიფოდ ფრანგეთ-ინგლისის, ამერიკის, ფედერალურ გერმანიაში ჰიტლერიზმს, კვლავ აფრიალებენ ფაშისტურ დროშებს, მოუწოდებენ ახალი ლაშქრობებისაკენ კომუნიზმის წინააღმდეგ. მაგრამ დღეს ისე იოლი როდია ხალხების გასოლელება ფიურერის არსენალის გიჟური იდეებით, როგორც ეს წინათ იყო. რევანშიზმი მწვავე სიძულვილს აღეძრავს თვით დასავლეთ გერმანიის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს, რომლებსაც კარგად ახსოვთ, თუ რა უბედურება მოუტანა ჰიტლერიზმმა გერმანიას, გერმანელ ხალხს.

ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ბონის ოლიგარქიის ინტერესებს ემსახურებიან ისინი, ვინც ცდილობენ ააღორძინონ ფაშისტური ბანდა, ააღორძინონ ჰიტლერიზმი, ააღორძინონ ომის ბოროტი სული, ომის ბოროტი სული, ომის ბოროტი სული, ომის ბოროტი სული!

ამ ბოროტ სულს ებრძვიან ჩვენ ირგვლივ ყველა ადამიანური ძალა, ყველა ადამიანური ძალა, ყველა ადამიანური ძალა

ფიქრები ქართულ ხალხურ ცეკვებზე

ქართველი ხალხის კულტურაში ქორეოგრაფიულ ხელოვნებას საპატიო ადგილი უჭირავს. ქართული საბჭოთა ქორეოგრაფია ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი საცეკვაო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე გითარდება.

ქართულ ცეკვებს ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი ხალხური თვითმყოფობა, დახვეწილობა, შინაარსიანობა, პლასტიკური გამომეტყველება, ემოციურობა, მოძრაობის კეთილშობილება, რაინდული ქცევა და ძველი დროიდანვე დადგენილი მტკიცე ტრადიციული წესები, სადაც ქალისადმი ვაჟის მოკრძალებული და თავაზიანი დამოკიდებულება ხაზგასმით არის აღბეჭდილი. ქართულ ხალხურ ცეკვებს არ შეეფერება: ყიჟინა-ყვირილი, ზედმეტი ფუსფუსი, ტემპის ხელოვნური აჩქარება გარეგნული ეფექტის მისაღწევად, ხმალ-ხანჯლის უადგილოდ და უხეშად ხმარება, ულაზათო ხტომა, ფეხების უაზროდ ქნევა.

იცავს თუ არა აღნიშნულ დებულებებს ქართული ცეკვების შესწავლა-დამუშავებისას თუ შესრულებისას ყველა ქორეოგრაფიული წრე? პასუხი ერთია: არა! ზოგიერთი წრე ცეკვებში სიახლის შეტანის მიზნით მიმართავს ქართული ხალხური ცეკვებისათვის არადამახასიათებელ ელემენტებს.

ახალი ილეთი ქართულ ქორეოგრაფიაში არსებული ქართული ხალხური ცეკვების ილეთების საფუძველზე უნდა დაიბადოს. ყოველი საცეკვაო ილეთი შედგება რამდენიმე მოძრაობისაგან და ილეთის მოძრაობათა შეერთება ანდა ორი-სამი ილეთის შერწყმა სავსებით საკმარისია ილეთის ნაირსახეობის შესაქმნელად. თვით ილეთი ქორეოგრაფიაში იგივეა, რაც ბგერა მეტყველებაში ან ასო ანბანურ სისტემაში. განა ახალი წინადადებისა და აზრის შესაქმნელად სავალდებულოა ვისესხოთ რომელიმე ბგერა არაქართული ენიდან? ცხადია, არაა თავისუფლად შეგვიძლია ძველი დროიდან დადგენილი ილეთების მასალაზე შეექმნათ ახალი აზრი ქორეოგრაფიაში, რომელიც თანამედროვე მოთხოვნილებებს უპასუხებს.

უდავოა, რომ ყველა ქორეოგრაფი დაინტერესებულია აღდგინოს მივიწყებული ძველი ქართული ხალხური ცეკვები ან შექმნას ახალი, თანამედროვე ცხოვრებასთან დაკავშირებული ცეკვები, რაც დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვს. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ვხვდებით ქორეოგრაფთა ერთ ნაწილს, რომელიც ცეკვების დადგმისას მიმართავს უფრო იოლ გზას. ისინი სხვადასხვა ქორეოგრაფის მიერ დადგმული სხვადასხვა ცეკვის ნაწილებს შეკავშირებით ქმაყოფილდებიან.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთიულური ცეკვები თანდათანობით კარგავენ დამახასიათებელ თავისებურებებს. გადაჭარბებული მუხლილეთები, განსაკუთრებით ორივე მუხლზე ვარდნა, მკლავების უაზრო მოძრაობა, ტემპის ხელოვნური აჩქარება, სახის მანკიერ, სკენაზე ყიჟინა-ყვირილი ჩხუბსა და აყალმაყალს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ცეკვას. ზემოაღნიშნულ ხელოვნურად შექმნილ ფაქტორებს ცეკვა არ უდა იყრდნობოდეს. ფეხებისა და მკლავების მოძრაობა, მიმიკა, თვალების გამომეტყველება და შეძახილი ცეკვის შინაარსის განცდის საფუძველზე უნდა დაიბადოს.

სახსრების მტკივნეამ, მანკიერ-გრეხვამ უმაღლეს წერტილს მაღწია ცეკვა მხარულში. აჭარის ქორეოგრაფიულ კონფერენციაზე სამართლიანად დაისვა საკითხი განდგომისა და მხარულის გაშარჟების წინააღმდეგ.

რაც შეეხება ცეკვა ფარიკაობას, იგი აგებულია ძველი ხელსურული სანახაობის — კიჟნაობის საფუძველზე. კიჟნაობას ძველ ხელსურეთში ფარ-ხმალში გაწაფვა-გავარჯიშების მნიშვნელობა ჰქონდა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ქორეოგრაფიაში ხშირად იყენებენ ძველ ხალხურ სანახაობებსა და თამაშობებს, მაგრამ აქაც ვხვდებით ზოგიერთი ხაფოვანებას. ცეკვა ფარიკაობას უკვე თანდათანობით სცილდება ცეკვის ელემენტი. იგი ამჟამად მხოლოდ ბრძოლისა და ჩხუბის გამომხატველ სანახაობად გვევლინება. ასეთივე მდგომარეობაა საკოლმეურნეო ცეკვებში. ამ ცეკვებში შრომის პროცესები წინ არის წამოწეული, ცეკვა კი თითქმის მივიწყებულია. ზოგიერთი ქორეოგრაფიულ წრეში საკოლმეურნეო ცეკვა აგებულია მხოლოდ და მხოლოდ შრომის თანმიმდევრულ პროცესებზე. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ძველი თბილისის ცეკვებს — ყარაჩოხულსა და ბაღდადურს, რომლებსაც თხუთმეტი-ოცეოდე წლის წინათ არასასურველი ბედი ეწიათ. ისინი ამოიღეს ქართველთა ცეკვების რეპერტუარიდან. ეს მოხდა იმიტომ, რომ ძველი თბილისის ცეკვებშიც სიმახინჯემ მოიკალათა. თეძოს სახსრების მტკივნეა არავითარ ესთეტიკურ სიამოვნების გრძნობას არ იწვევდა მაყურებელში. ზოგიერთი ქორეოგრაფი ყარაჩოხელს ვერ ასხვავებს კინტოსაგან. მათ ცეკვებს ერთმანეთში ურევს, დინჯსა და დარბაისელ ყარაჩოხელს კინტოსავით ატტუნავებს. ყარაჩოხელი და კინტო ძველი თბილისის მკვიდრნი არიან. ყარაჩოხული და კინტოური ცეკვები ძველ ქალაქურ ფოლკლორს მიეკუთვნება. ისინი უნდა დაიხვეწოს, გაიწმინდოს ყოველგვარი სიმახინჯისაგან, რის შემდეგაც შეიძლება და, ჩვენი აზრით, საჭიროც არის შევიტანოთ ქართული ხალხური ცეკვების რეპერტუარში.

როგორც ვიცით, ქართული ხალხური ცეკვები გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, თვითეულ ცეკვას კუთხურობის მიხედვით აქვს შესრულების თავისებურება, ფორმა და შინაარსი. ჯაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ქორეოგრაფები არღვევენ ძველადანვე დადგენილ ტრადიციებს და ერომანეთში ურევენ სხვადასხვა კუთხის ცეკვებისათვის დამახასიათებელ ილეთებს. მაგალითად, ხშირად ვხვდებთ აფხაზურ ცეკვებში მოხეური და მთიულური ცეკვების ილეთებს, სვანურ და ოსურ ცეკვებში აფხაზური ცეკვებისათვის დამახასიათებელ ილეთებს, მოხეურ ცეკვებში გადაჭარბებულ ცირილეთებს და ფარცალეტაკეში აჭარული ცეკვის მხარულის ილეთებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ქორეოგრაფიული აღზრდის ამოცანაა შეასწავლოს ახალგაზრდობას ცეკვის ხელოვნების საფუძვლები, მისცეს საჭირო ცოდნა და ჩვევები ამ დარგში, განუვითაროს მხატვრული გემოვნება და ხელი შეუწყოს საბჭოთა ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას.

ცეკვა „ქართული“ ჩვენი ხალხური ცეკვების მწვერვალი და სიამაყეა, 1901 წელს ჩიხოვთან და ვასნეცოვთან ერთად ჩამოსულმა მაქსიმ გორკიმ ცეკვა „ქართულზე“ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

„მე ვსვამ იმ ერის სადღეგრძელოს, რომელმაც ასეთი ლამაზი ცეკვა შექმნა თავისდა საამაყოდ“. სამწუხაროდ, ამ ცეკვის შესრულებაში თავს იჩენს ნაკლოვანებები. მაგალითად, ნაკლები ყურადღება ექცევა გასმების სრულყოფილად შესრულებას. ხშირად მოცეკვავენი მუხლებში მოხრილი ასრულებენ ცეკვას. უკანასკნელ ხანს თავი იჩინა ქალთან განმკლავში სახსრების გაუთავებელმა მტვრევამ...

ვინაიდან უკანასკნელ ხანს ცეკვა „ქართულის“ სახელწოდება ზოგიერთს თითქოს სადავოდ მიაჩნია, ამიტომ მიზანშეწონილად ვთვლით მოკლედ შევეხოთ ამ საკითხს და გამოვთქვათ ჩვენი აზრი. როგორც ვიცით, ცეკვა „ქართული“ ადრე „ლეკურის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ცეკვა „ლეკური“ მოხსენიებული არ არის. იგი ლეკურს ხმალს უწოდებს. ცეკვების დასახელებებიდან კი ვხვდებით როკვას, ცეკვას, სამას, სამაიას, შუშპარობას, ფერხულს და ფირხისას. ამიტომ იბადება კითხვა: საიდან წარმოიშვა სახელწოდება ლეკური? ქართულ და ლეკურ ცეკვებს შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ მათი ურთიერთდაკავშირებაც კი შეუძლებელია. ამასთანავე ცნობილია, რომ ცეკვა „ქართულს“ უძველესი წარსული აქვს, სახელწოდება ლეკური კი მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან გვევლინება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლეკურის სახელწოდება პირდაპირი თარგმანია „ლეზგინკისა“, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის სხვა ხალხების ცეკვების განზოგადებულ ტერმინად იქცა. მაგალითად, ოსების ცეკვებს ოსური ლეკური ეწოდა, ნაურების ცეკვას ნაურების ლეკური, ხუნძების ცეკვას ხუნძური ლეკური და როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ცეკვას — ქართული ლეკური.

როგორც აღვნიშნეთ, ლეკურმა კავკასიური ცეკვების დასახელების ზოგადი ხასიათი მიიღო და ცეკვა „ქართულს“ ქართული ლეკური ეწოდა. დროთა განმავლობაში მას სიტყვა „ქართული“ ჩამოშორდა და ეს ცეკვა შემდეგ „ლეკურად“ იწოდებოდა.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში არსებული ნაკლოვანებები ზოგიერთი ქორეოგრაფის უყურადღებობისა და პროფესიული მოუმზადებლობის ბრალია. ქორეოგრაფი ამა თუ იმ ცეკვის დადგმისას წინასწარ უნდა გაეკვეს ცეკვის შინაარსში, მის ხასიათსა და კუთხურობის ნიშნებში, ტრადიციულ წესებში, ჩაცმულობაში... ქართული ხალხური ცეკვების შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებს საერთო ძალით უნდა ვებრძოლოთ.

ნინო რამიშვილი,
ილიკო სუხიშვილი,
საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელები.
ა. თათარაძე,
თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების გამგე.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის (ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი) მოცეკვავეთა ჯგუფს, რომელიც ასრულებს ცეკვა „ფარცას“.

სეატო ემზადება აგრესიისათვის

ჯაკარტა, 23 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ლაოსის მარიონეტულმა „თავრობამ“, რომელსაც მხარს უჭერენ შეერთებული შტატები, განაცხადა, რომ, თუ „საჭიროება მოითხოვს“, იგი, ჟენევის შეთანხმებების წინააღმდეგ, შეუერთდება სეატოს სამხედრო ბლოკს.

ეს 21 დეკემბერს განაცხადა „მარიონეტული „თავრობის“ „იუსტიციისა და ინფორმაციის მინისტრმა“ ბუბან ნორასინგამ. მან თქვა, რომ მისი „თავრობა“ „უყოყმანოდ შეუერთდება სეატოს, თუ ეს საჭირო იქნება ლაოსის თავდაცვისაფვის“.

სეატოს აგრესიულმა ბლოკმა, აღნიშნავს სააგენტო, 19 დეკემბერს კვლავ მოაწყო ბანგკოკში თათბირი ლაოსში შეიარაღებული ინტერვენციის შემდგომი მიმზადების მიზნით.

გამარჯვების დღე ალაგეთში

კაირო, 23 დეკემბერი. (საკდესი). დღეს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში აღინიშნება სამთა ომ აგრესიაზე გამარჯვების დღე, რომელიც 1956 წლის დამლევს მოახდინეს ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა.

დღესასწაულთან დაკავშირებით პრეზიდენტი ნასერი და მთავრობის წევრები დღეს დილით თვითმფრინავით გაფრინდნენ კაიროდან პორტ-საიდში, სადაც საღამოს გაიმართება მასობრივი მიტინგი. მიტინგზე სიტყვას წარმოთქვამს პრეზიდენტი ნასერი.

მშვიდობიანი შრომის გრანდიოზული მაგალითი

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ღღეს დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისში. ლონდონის საღამოს პრესა ამას იუწყება როგორც ღღის მთავარ თემას.

„გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ გამოჰყოფს ა. ა. გრომიკოს მოწოდებას — მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სესია განიარაღების შესახებ მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით და საბჭოთა თავრობის მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის მიერ პოსტის დაკავების შემდეგ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა კვლავ ჩადგეს იმ კალაპოტში, რომელშიც იგი იყო ფრანკლინ რუზველტის დროს. გაზეთი ამ ცნობას უკეთებს სათაურს მთელი გვერდის გასწვრივ: „გრომიკო მოგვიწოდებს — კვლავ ვიყოთ მეგობრები“.

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენებას უმაღლესი საბჭოს სესიაზე, სარედაქციო სტატიებს უძღვნის მას. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ პირველ გვერდზე აქვეყნებს მოხსენების დაწვრილებით შინაარსს დიდი სათაურით; „საბჭოთა კავშირი ამბობს, რომ იმედოვნებს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას კენედის მთავრობის დროს. თავის მოხსენებაში გრომიკო ბრალს სდებს ეიზენჰაუერს გათიშვაში“.

გაზეთი „დეილი მირორი“ აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის იმ მისწრაფებას, რომ მოაწესრიგოს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სათაურში ხაზს უსვამს: „საბჭოთა კავშირი სთავაზობს კენედის დაამყარონ უკეთესი ურთიერთობა“.

ამავე დროს ამერიკის გაზეთების კომენტარებში გამოსჭვივის ტენდენციური მიდგომა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისადმი. ამერიკის შეერთებული შტატების პრესა ცდილობს თავი აარიდოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს, და სურს კვლავ განაბოლოოს ომის წინადადეგ, გაკოტრებული პოლიტიკური კურსი.

ბერლინი, ბერლინის დემოკრატიული გაზეთები თვალსაჩინო ადგილს აქვეყნებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც ექნება ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს სსრ კავშირის ეკონომიკის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის, როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის კანონი, რომელიც უმაღლესმა საბჭომ მიიღო, ითვალისწინებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომ მნიშვნელოვან გადიდებას

„ოსლოკი მსოფლიოს ყველაზე მშვენიერი ქალაქი იქნება“ — ასეთი სათაურით აქვეყნებს ცნობებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში გამართული კამათის შესახებ გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“.

საზღვარგარეთის პრესა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

რეპრესიების გრძელდება

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის სასამართლო ხელისუფალნი ალჟირში განაგრძობენ „გამოძიებას“ იმ მოზეზების გამოსარკვევად, რომლებმაც ალჟირში გამოიწვია „არეულობა“ ამას წინათ პრეზიდენტ დე გოლის იქ ჩასვლის დროს. როგორც საქმეს გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, პოლიციამ უკვე დააპატიმრა შვიდი ევროპელი და რამდენიმე ათასი ალჟირელი, რომლებსაც ბრალდებათ „11 და 12 დეკემბრის ამბებში“ მონაწილეობა. ამდენი ალჟირელის დაპატიმრებამ გაკვირვება გამოიწვია საფრანგეთის საზოგადოებრიობაში, რომელმაც კარგად იცის, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიან დემონსტრაციებში, ხოლო არეულობა პროვოკაციულად გამოიწვიეს ევროპელებმა.

ამავე დროს გრძელდება სასამართლო დევნა ალჟირელი პატრიოტებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. 21 დეკემბერს სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა 19 წლის ალჟირელ ჭაბუკს. მეორე ალჟირელს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა. გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ეგრეთწოდებულ „გადაჯგუფების ცენტრებში“, რომლებიც წარმოადგენენ თავისებურ საკონცენტრაციო ბანაკებს ალჟირელებისათვის, ამჟამად იმყოფება 1,5 მილიონზე მეტი კაცი, ძირითადად, ქალები, ბავშვები და მოხუცები.

ფრენკ მოსი აღიარებს

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამას წინათ აფრიკის 16 ქვეყანაში ხუთი კვირის მოგზაურობიდან დაბრუნებულმა სენატორმა ფრენკ მოსმა (დემოკრატი, იუტის შტატიდან) სიტყვა წარმოთქვა ვაშინგტონში და მოითხოვა უარი თქვან ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ პოლიტიკაზე აფრიკაში.

მოსმა აღიარა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკამ აფრიკაში, და კერძოდ ალჟირის საკითხში, აფრიკის ქვეყნების ხალხები დაარწმუნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მხარს უჭერენ კოლონიალიზმს თავისუფლების წინააღმდეგ“. სენატორმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ მთავრობას „ნამდვილად დაუჭიროს მხარი თვითგამორკვევასა და თავისუფლებას და ეცადოს, რომ ალჟირის საკითხი უსწრაფესად გადაიჭრას“.

ამავე დროს მან განაცხადა, რომ სასურველია გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იკისროს სამოქალაქო ფუნქციების განხორციელება კონგოში და გააძლიეროს იქ თავისი „პოლიციის ნაწილები“.

ამინდი

26 და 27 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე, რიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 11-16 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ალაგ-ალაგ ნისლი, სუსტი ქარი; ტემპერატურა, დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

უტექსტო ხუმრობა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ვაშინგტონი, 24 დეკემბერი. როგორც პრესა ლატინას სააგენტო იუწყება, პანამის ეროვნული კრების დეპუტატმა ტელმა კინგმა განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები ზეგავლენას ახდენენ ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, მოითხოვენ, რომ ისინი გამოვიდნენ კუბის რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ“.

ტელმა კინგმა მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ.

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭომ 22 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა, რომ გასული კვირის მანძილზე ოქროს მარაგი ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ 48 მილიონი დოლარით შემცირდა.

საბჭოს მონაცემებით, 21 დეკემბრისათვის ოქროს მარაგი შეერთებულ შტატებში შეადგენდა 17.925 მილიონ დოლარს, ე. ი. 1,4 მილიარდი დოლარით ნაკლები იყო მიმდინარე წლის 1 ივლისთან შედარებით.

პარიზი, 23 დეკემბერი. როგორც კონაკრიდან იუწყებიან, განის რესპუბლიკის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა და მალის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მოდიბო კეიტა დღეს ჩავიდნენ კონაკრიში გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტის სეკუ ტურეს მოწვევით.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სამი ქვეყნის ლიდერები დღეს დაიწყებენ მოლაპარაკებას, რომელიც აფრიკის პრობლემას შეიცავს.

საბჭოთა მთავრობის ნოტა

დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი ლაოსის საკითხზე

22 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა მიიღო დიდ ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში ფ. რობერტსი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა ლაოსის ამბებთან დაკავშირებით.

როგორც ნოტაში აღნიშნულია, საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის ერთ-ერთი თავმჯდომარეა, ინდოეთის პრემიერ-მინისტრისაგან მიიღო წერილი, რომელშიც იგი ყურადღებას მიაპყრობს ლაოსის უკანასკნელ ამბებს. საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს ინდოეთის მთავრობის შეშფოთებას საშიში ვითარების გამო, რომელიც ლაოსის რაიონში შეიქმნა და სერიოზულად ემუქრება მშვიდობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ლაოსში შექმნილი მდგომარეობის მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატებისა და სეატოს სამხედრო ბლოკის ზოგიერთი სხვა მონაწილის უხეში ჩარევა ლაოსის საშინაო საქმეებში.

საბჭოთა მთავრობის აზრით, აღნიშნულია ნოტაში, ლაოსის საკითხის მოწესრიგებისა და ამ რაიონში მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით საჭიროა მოწვეულ იქნეს თათბირი ინდოჩინეთის საკითხზე 1954 წლის ჟენევის თათბირის მონაწილე ქვეყნების. შემადგენლობით ლაოსში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად, აგრეთვე განაახლოს თავისი საქმიანობა ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიამ.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ორმა თავმჯდომარემ ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის მონაწილე ყველა ქვეყნის მიმართოს მოწოდებით— დაგმონ უცხოეთის ჩარევა ლაოსის საშინაო საქმეებში.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, აგრეთვე, რომ ორმა თავმჯდომარემ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უნდა გაუგზავნოს წერილი და მოუწოდოს, რომ მონაწილეობა მიიღოს ორი თავმჯდომარის ღონისძიებებში ლაოსის მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის და ამ მიზნით ხელი შეუწყოს გენერალ ფუმი ნოსავანის მეამბოხეებისადმი უცხოეთის დახმარების შეწყვეტას, გაიწვიოს მისი ჯარებიდან ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები და ამოიღოს ამერიკის სამხედრო ტექნიკა, აგრეთვე შესაბამისი გავლენა მოახდინოს სხვა სახელმწიფოებზე, რომლებმაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად გაგზავნეს თავიანთი სამხედრო მოსამსახურეები და იარაღი მეამბოხე გენერალ ნოსავანის განკარგულებაში.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს თავის ნოტაში, რომ ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის საქმიანობის დროებით შეწყვეტა საჭირო იყო ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეებისათვის, სსრ კავშირის მთავრობა გამოთქვამს აზრს, რომ ორმა თავმჯდომარემ უნდა ურჩიოს ამ კომისიას კონტაქტი დაამყაროს პრინც სუვანა ფუმას მთავრობასთან, რათა შეუთანხმოს მას პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც შეეხება კომისიის საქმიანობის განახლებას, (საკდესი).

სახელმწიფო დეპარტამენტის სასტიკი თამაში

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ცნობილია, სასამართლოებში ხანგრძლივი ბრძოლისა და უმაღლეს სასამართლოში მთელი რიგი აპელაციების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა სასამართლომ გამოსცა დადგენილება, რომელიც ნებას რთავს, თუმცა გარკვეული პირობების შესრულებით, ამერიკის კომპარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს უილიამ ფოსტერს, რომელიც მძიმე ავადმყოფია, სამკურნალოდ გაემგზავროს საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიაში. მაგრამ დღემდე იულიამ ფოსტერს არ ჰქონდა შესაძლებლობა გამგზავრებულიყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნის მას და განზრახ აყოვნებს მისთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემას.

„სახელმწიფო დეპარტამენტის პასპორტის განყოფილება, — განუცხადა პრესის წარმომადგენლებს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰეს ჰოლმა, — ხან ერთ კაცს გადასცემს საქმეს, ხან მეორეს და ახლა კი ამბობენ, რომ „იგი იმ მოხელეებს ხელშია, რომლებიც უშიშროების საკითხებს განაგებენ“.

ჰოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფოსტერისათვის, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება, პასპორტის მიცემის დაყოვნება, „სიცოცხლესა და სიკვდილთან სასტიკი თამაშია“.

ბაჰამთა კუნძულების ნეკლის პოლიტიკური მოღვაწეები

დელი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც კატმანდუდან იუწყებიან, ნეპალის ყოფილი პრემიერ-მინისტრები კ. ი. სინგგი და ტანკა პრასად აჩარია, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ მეფის მიერ ბ. პ. კოირალას მთავრობის დათხოვნის შემდეგ, 22 დეკემბერს განთავისუფლებული არიან პატიმრობიდან.

ნეპალის ხელისუფლებამ გაათავისუფლეს აგრეთვე ნეპალის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და ნეპალის ეროვნული კონგრესის პარტიის თავმჯდომარე დ. რ. რეგმი, პარტიის „გორკხა პარიშად პარტის“ ლიდერი მრიგენდრა შამშერი, გაერთიანებული ფრონტის თავმჯდომარე რანგნატ შარმა და ზოგიერთი სხვა პოლიტიკური მოღვაწე.

განთავისუფლებულმა პირებმა ხელი მოაწერეს განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი არ განახორციელებენ ისეთ მოქმედებებს, რომელსაც შეეძლია დაარღვიოს მშვიდობა და წესრიგი ნეპალში. ყველა მათგანს აეკრძალა დატოვოს კატმანდის ხეობის რაიონი.

ჟურნალისტ პოლიტიკა

მომავალი ჩემპიონატის წინ კალათბურთში

ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშებას კალათბურთში ყოველთვის დიდი ინტერესით მოელიან.

ახლა გუნდების უმრავლესობა ემზადება ახალი ჩემპიონატისათვის, რომელიც ივნვრიდან დაიწყება. პირველობის გათამაშებაში არის სიახლენი, როგორც თამაშის წესებში, აგრეთვე მონაწილე გუნდების რაოდენობაში. თუ წინათ ქალთა გუნდების თამაში განისაზღვრებოდა 36 წუთით (ტაიმი 18 წუთი), ახლა იგი შეადგენს 40 წუთს.

პირველობის გათამაშებაში საქართველოდან გამოდის 1 ქალთა (ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის) და 2 ვაჟთა („დინამო“, „ბურევესტნიკი“) გუნდი.

ჩემპიონატი მოეწყობა ორ ეტაპად (ქვეჯგუფები, ფინალი) თვითეული ქვეჯგუფიდან ფინალში გადის 4 გუნდი, სადაც მოეწყობა დასკვნითი ბრძოლები. ქვეჯგუფებში მატჩები ჩატარდება 25 ივნვრიდან 20 მარტამდე, ხოლო ფინალში — 25 ივნისიდან 31 აგვისტომდე.

თბილისის „დინამო“ პირველ მატჩში შეხვდება თბილისის „ბურევესტნიკს, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი — ტარტუს უსკ-ს ტარტუში.

დინამოელთა კიდევ ერთი გამარჯვება

გუშინ მოსკოვის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურავ აუზში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე წყალბურთში თბილისის დინამოელები შეხვდნენ მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ გუნდს. დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 7:0.

25 დეკემბერს გაიმართება უკანასკნელი მატჩები.

რამდენიმე სტრიქონით

△ **სსრ კავშირის** სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმმა ლაიპციგში, XIV საკავშირო ოლიმპიადაზე მოსპორტების დიდი წარმატებისათვის, ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები — მ. ტალი, მ. ბოტვინიკი, პ. კერესი, ვ. კორჩნოი, ვ. სმისლოვი, ტ. პეტროსიანი და გუნდის მწვრთნელი ი. ბოლესლავსკი შეიტანა საპატიო წიგნში, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონს მ. ტალს, აგრეთვე სსრ კავშირის 1959-1960 წ.წ. ჩემპიონებს ტ. პეტროსიანსა და ვ. კორჩნოის მიანიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

კეთილშობილური საქციელი

ფულუკიძე, 23 დეკემბერი. (საკდესი). ამ დღეებში წყალტუბოს რაიონის მცხოვრები ლ. იოსელიანი ჩამოვიდა ფულუკიძეში ოჯახისათვის საჭირო ნივთების შესაძენად. მაღაზიიდან მაღაზიაში სიარულის დროს მას დაეკარგა 2.500 მანეთი და საბუთები.

ფული და საბუთები იპოვნეს ფულუკიძის მცხოვრებმა ო. ბახტაძემ და რაიმაღაზიის თანამშრომლებმა ლამარა და ლიანა წვერავებმა. მათ ნაპოვნი დაუბრუნეს პატრონს.

ბიათურა, 23 დეკემბერი. (საკდესი). ბიათურის მცხოვრებმა ინჟინერმა ლ. მუმლაძემ იპოვნა ჩემოდანი, რომელშიც აღმოჩნდა ტანსაცმელი და სხვა ნივთები.

მარკშეიდერ შ. ბალავაძის დახმარებით მან იპოვნა ნივთების პატრონი მოქალაქე ბ. ლაბაძე და დაუბრუნა